DONA group
ᲓᲝᲜᲐᲚᲝᲙᲐᲠᲣᲚᲘ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐ

ქ. თბილისი

6 ოქტომბერი 2019წ.

მინდობილობა

შ.პ.ს „დონა გრუპ“-ის (ს.კ. №206345454) დამფუძნებლმა და დირექტორმა **შალომ შაიმ** (პ/ნ 0-1748307-4), რომელიც შემდგომში მოხსენიებულია, როგორც **„მიმნდობი“**, **შპს „ლენდ მარკ პროჯექტის“** (ს/ნ 405221843) დირექტორს **ხათუნა კიკვაძეს** (პირადი ნომერი 01017008247) და 100%-იანი წილის მფლობელს **ავთანდილ მახარობლიშვილს** (პირადი ნომერი 01008018073), რომლებიც შემდგომში მოხსენიებულნი არიან, როგორც **„მინდობილი პირები“**, საზოგადოების სახელით მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება:

„მინდობილი პირები“ უფლებამოსილი არიან, როგორც ერთობლივად, ისე ცალ-ცალკე **შ.პ.ს „დონა გრუპ“-ი** წარმოდგინონ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურულ ერთეულებსა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირებთან ურთიერთობაში, იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც ეხება ს/კ 01.11.13.001.122 მიწის ნაკვეთების სამშენებლო განვითარებას, კერძოდ, მინდობილი პირები უფლებამოსილი არიან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურულ ერთეულებსა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირებთან ურთიერთობაში საზოგადოების სახელით ხელი მოაწერონ ნებისმიერ განცხადებას, განაცხადს, ოფიციალურ საბუთს, ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტებში ცვლილებების შეტანის შესახებ განცხადებებს/განაცხადებს ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთებზე განაშენიანების რეგულირების გეგმის ორივე სტადიის შეთანხმების (მათ შორის - კორექტირების) თაობაზე, შეიტანონ, წარადგინონ/ატვირთონ (მათ შორის - ელექტრონულად), ზემოაღნიშნულ ადმინისტრაციულ ორგანოებში როგორც დამკვეთმა ან/და განმცხადებელმა ყველა სახის განცხადება, განაცხადი, დოკუმენტაცია: ჩაიბაროონ/გამოიტანონ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ მომზადებული ნებისმიერი საბუთი/დოკუმენტი ან/და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. აღნიშნული მინდობილობა ასევე გულისხმობს „მინდობილი პირების“ ნებისმიერ ამ მინდობილობაში გაუთვალისწინებელი ქმედების უფლებამოსილებასაც, რაც აუცილებელია ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთებზე განაშენიანების რეგულირების გეგმის ორივე სტადიის შეთანხმებისთვის.

მინდობილობა ძალაში შედის ხელმოწერის თარიღიდან და ძალაშია 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

შ.პ.ს „დონა გრუპ“-ის (ს.კ. №206345454) დამფუძნებელი და დირექტორი

_____

შალომ შაი (პ/ნ 0-1748307-4)